ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი # 01

ქ. ონი 06. 02. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 17 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, თორნიკე მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ნონა მაისურაძე, შალვა კახეთელიძე, ეკა მაისურაძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე.

არ ესწრებოდა 16 წევრი: ვასილ მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, რევაზ საბანაძე, როსტომ ლობჯანიძე, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, შუქურა ჯაფარიძე, მადლენა მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, ბიძინა ყიფიანი, ნოდარ ბურდილაძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის ეკონომის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ორი ერთეული ავტობუსის შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ორი ერთეული ავტობუსის შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მერის მოადგილე

თანამომხს. თ. გრძელიშვილი-მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ორი ერთეული ავტობუსის შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ) თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი .

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ე. მაისურაძემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, მიეწოდებინა ინფორმაცია თუ რა პროცესები მიმდინარეობს ზუდლის ხიდის მშენებლობაზე არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით და აღნიშნა, რომ გადაადგილება აღნიშნულ მონაკვეთზე საფრთხის შემცველია და საჭიროებს დროულ რეაგირებას.

ბ. მარკოიშვილმა განმარტა, რომ პროექტი დაკორექტირდა, მოხდება დახარვეზებული ნაწილის დემონტაჟი და აშენდება ახალი. ობიექტი დასრულდება მაისის თვეში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე